საქართველოს პროფესიული განათლებისა
და კვალიფიციური კადრების მოამზადების
მუშაკთა და სტუდენტთა პროფკავშირი
საქართველო, 0122, თბილისი, ვაჟა ფშაველას 43ბ
ტელ.: (+995 32) 36 52 44; ბანკი: (+995 32) 33 27 08.
მობ.: (+995 99) 57 20 55; ფაქსი: (+995 99) 32 35 47.
ელფოსტა: dan_prof@yahoo.com

GEORGIAN PROFESSIONAL EDUCATIONAL
AND QUALIFICATION STAFF TRADE UNION
OF WORKERS AND STUDENTS
V.Pshavela avenue, N43b, 0122, Tbilisi, Georgia
☎ (+995 32)36 52 44; (+995 32) 33 27 08.
Mob: (+995 99) 57 20 55; Fax: (+ 995 99) 32 35 47.
E-mail : dan_prof@yahoo.com

№ 22/02 19 თებერვალი 2021

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ არჩილ თალაკვაძეს

ბატონო არჩილ,

არასამთავრობო ორგანიზაციები: "საქართველოს პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი", "მწვანე დედამიწა", "ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები", "გლობალური კვლევების ცენტრი", "სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი", "დემოკრატიული მართვის განვითარების ფონდი", "ჯერ საქართველო", გიორგი ჟორჟოლიანი და რიგი პოლიტიკური პარტიებისა წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წონადადებას "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატების შესახებ.

გთხოვთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება განიხილოთ, პარლამენტის უახლოეს ბიუროზე და გადასცეთ განხილვებისათვის შესაბამის კომიტეტებს წამყვანი კომიტეტის მითითებით.

- პროფესიული განათლების
პროფესიული კავშირის თავმჯდომარე - დანიელ დავითაშვილი.
-მწვანე დედამიწა-ს თავმჯდომარე - ნუგზარ მელაძე
-ახალი თაობა დემოკრატიულის არჩევნების
თავმჯდომარე გია გარსევანიშვილი
-გლობალური კვლევების ცენტრის
ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი
-სამოქალაქო საზოგადოების და
დემოკრატიის განვითარების ცენტრის
თავმჯდომარე ლადო ბოჟაძე
-დემოკრატიული მართვის განვითარების ფონდის
თავმჯდომარე გია მახარაძე
-ჯერ საქაეთველოს ხელმძღვანელი - ზვიად წამალაშვილი
გიორგი ჟორჟოლიანი
და სხვები - პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეები:
გოჩა ჯოჯუა, მამუკა გიორგაძე, თამაზ მეჭიაური, აკაკი ასათიანი, გოჩა თევდორაძე

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1344/21
19 "02" 2021 წ. ფურცელი 9

საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად წარმოდგენილია საკანონმდებლო წინადადება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებენის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე.

შემოთავაზების მიზანია: საქართველოს პარლამენტმა რეგლამენტის თანახმად განიხილოს და მიიღოს საკანონმდებლო წინადადება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების და დამატების თაობაზე

<u>პროექტი</u>

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების და დამატების თაობაზე

მუხლი 1.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, #45, 21.11.1997, გვ 76) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 30^1 მუხლი:

1. ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გადაირიცხება თანხა ფონდში, რომლის მიზანიცაა პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
2. ფონდიდან პოლიტიკური გაერთიანებების და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესით.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციას ასრულებს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.
4. ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გადარიცხვა განხორციელდება ყოველკვარტალურად.
5. ფონდიდან თანხა გაიცემა მხოლოდ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების დაფინანსების მიზნით.
6. არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტები უნდა გაიცეს მხოლოდ პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით წარდგენილი პროექტების საფუძველზე. ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაზე გასაცემი თანხა არ უნდა აღემატებოდეს არასამთავრობო სექტორზე გასანაწილებელი თანხის 10%-ს. არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების განხილვისას ცენტრის საქმიანობაში

სათათბირო ხმის უფლებით უნდა მონაწილეობდეს სულ მცირე 3 საერთაშორისო ორგანიზაციის ან შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური ფონდის წარმომადგენელი.

7. თუ პარტიები და არასამთავრობო სექტორი ვერ გამოიყენებენ ამ ფონდიდან მათთვის გასაცემ თანხას. ეს თანხა გასანაწილებლად გადავა მომდევნო წელს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ს. ზურაბიშვილი
თბილისი,
2021 წლის __ მარტი

განმარტებითი ბარათი

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების და დამატების პროექტთან დაკავშირებით.

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია პოლიტიკური გაერთიანებების და არასამთავრობო სექტორის დაფინანსების სრულყოფის აუცილებლობით.

ეფუძნება დემოკრატიული ინსტიტუციონალიზმის შემდგომ განვითარებას, წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური პარტიების მოწყობის იმ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც მყარ იურიდიულ დონეზე ქმნიან იმ საფუძვლებს, რომელთა შემდგომი სრულყოფა და განვითარება განამტკიცებს სახელმწიფოს პოლიტიკურ მდგრადობას, რაც მისი შემდგომი წინსვლის გარანტია. ამასთან, ქმნის მყარ ურთიერთკავშირს პოლიტიკურ და არასამთავრობო, ე.წ. საზოგადოებრივი სექტორის ურთიერთთანამშრომლობის, მიღებული გამოცდი-ლების გაზიარების და კონკურენტუნარიანი, დაბალანსებული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების უალტერნატივო მექანიზმს, საქართველოს კონსტიტუ-ციასთან სრული თავსებადობით.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობის დაფინანსების სისტემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისად მაღალეფექტური და დახვეწილი, ამავე დროს, მარტივი და გასაგები სისტემით უნდა ხორციელდებოდეს, რაც გულისხმობს საბიუჯეტო თანხების მიზნობრიობას, პოლიტიკური განვითარების და სრულყოფის შესაბამისობას, არსებული ყველა ფორმის პრობლემებთან გამკლავებას, მათ შორის ურთიერთობა მიკრო და მაკრო მოცემულობით ამომრჩევლებთან და საზოგადოებასთან, საარჩევნო და პოლიტიკური სისტემის სრულყოფილი ფლობა; მედიასაშუალებებთან და სხვა ურთიერთობა, რასაც სრულად ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“.

ა.ბ.). კანონპროექტის მიზანი

პოლიტიკური გაერთიანებებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსების ზრდა: კვლევების, სწავლების და მივლინებების განსახორციელებლად.

ეფუძნება ამ მაღალეფექტური შედეგების მიღებას პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის მას და ამავდროულად განხორციელდება

პოლიტიკური მიკრო ურთიერთობების, რაც შეზღუდული, შეკვეცილი ურთიერთობით არის დღეს ჩვენს რეალობაში, მაკრო ან საზოგადოებრივ ურთიერთობებად ჩამოყალიბებას. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ არასამთავრობო სექტორის აქტიური როლი ხელს უწყობს პოლიტიკური პარტიების შემდგომ სრულყოფასა და მის შიგნით კვალიფიციური, მაღალინტელექტუალური და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პოლიტიკური მოღვაწეების წარმოჩენას, არა ვიწროპარტიული ინტერესებიდან, არამედ ქვეყნის და, აქედან გამომდინარე, ზოგადსაკაცობრიო ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან მკაცრი სამართლებ-რივი და პირადპასუხისმგებლური გარანტიებით. რისი არა მარტო დეფიციტი, არამედ კატასტროფიული სინაკლულეა დღეს ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში, ამასთან პოლიტიკური და საზოგადოებრივი, არასამთავრობო სექტორების ურთიერთობა ქმნის იმ პრობლემების გადაჭრის ფუნდამენტურ მექანიზმს, რასაც თითოეული მათგანი ცალ-ცალკე მოწყვეტილია.

ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიღების ძირითადი არსი მდგომარეობს პოლიტიკური გაერთიანებების და არასამთავრობო სექტორის დაფინანსების სისტემის სრულყოფის აუცილებლობასა და საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობასა და მათ მნიშვნელოვან დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტთან.

კანონპროექტით გათვალისწინებული ასიგნებანი (არადა იგი 2021 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია კოდებით 0602, 060302 და 060402), როგორც უშუალოდ პარტიებისათვის გადარიცხვის, ასევე სპეციალური ფონდიდან მიზნობრივი დაფინანსებით, რაც თავის თავში მოიცავს: კვლევებს, სწავლებასა და სამივლინებო ხარჯებს (რის შესახებაც აღვნიშნეთ უკვე ბიუჯეტში გამოყოფილი ასიგნებანის კოდები).

ამასთან კანონპროექტი იმ დადებით ზეგავლენას მოახდენს საერთო პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომელიც დღესაა, კერძოდ, პირდაპირი კავშირი და თანამშრომლობით გაჯერებული ურთიერთობა, ფონდის საფუძველზე შექმნის პრეცედენტს კვლევების, სწავლების, კონფერენციების, რეგიონული პროექტების და მივლინებების ჩასატარებლად, რაც დღეის მდგომარეობით უგულებელყოფილია, რის დასტურიცაა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნერბში გაერთიანებების წარმომადგენელთა არაკომპეტენტურობა და არაპროფესიული დამოკიდებულება.

2010 წლიდან ცესკოს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი გასცემს გრანტებს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სპეციალური ფონდიდან, საგრანტო თემატიკა ყოველ წელს იყო სხვადასხვა, სწავლების ცენტრი თემატიკას არჩევდა იმის მიხედვით თუ რა ჭირდებოდა პოლიტიკურ პარტიებს და ამომრჩეველს, რადგან მისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ამომრჩეველის, პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ამ წლების განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა როგორც საგრანტო თემატიკა ასევე პროექტების განხორციელების ამოცანები და მიზნები.

საარჩევნო წლებში (საპარლამენტო, თვითმმართველობის და საპრეზიდენტო) არჩევნებამდე რამოდენიმე თვით ადრე ცხადდებოდა საგრანტო კონკურსი პოლიტიკური პარტიებისთვის, როგორც კვალიფიციური ისე არაკვალიფიციური პარტიებისთვის. პროექტის ფარგლებში ტარდებოდა ტრენინგები პარტიების წარმომადგენლებისთვის,

ტრენინგ-მოდულები საკმაოდ საინტერესო იყო და მოიცავდა აქტუალურ თემებს (რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის რეკომენდირებულია):

- არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები;
- ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი საარჩევნო გარემო;
- დეზინფორმაციის გავლენა სანდო საარჩევნო გარემოზე;
- პარტიის როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაში;
- ჩართული მხარეების საარჩევნო ეთიკა და პროფესიული სტანდარტები;
- წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოება და შეზღუდვები;
- საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციები;
- პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული დამატებით ნებისმიერი სხვა სასწავლო მოდული, გარდა ჩამოთვლილი მოდულებისა.

თუ გავითვალისწინებთ იმას რომ ასეთი სახის ტრენინგებით უზრუნველყოფა კვალიფიციური პარტიებისთვისაც კი საკმაოდ ძნელია ფინანსურად და არაკვალიფიციური პარტიებისთვის ხომ საერთოდ შეუძლებელია. ყოველ წელს პარტიები ელოდნენ ამ პროექტების დაწყებას რათა თავიანთი წარმომადგენლები გადაემზადებინათ. პროექტის ბოლოს ისინი შეფასების ფურცლებს ავსებდნენ და მათი შეფასებით პროექტების თემატიკაც და ტრენინგებიც მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

გარდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა, საგრანტო თემატიკა განკუთვნილი იყო ამომრჩეველთა ინფორმირებისთვისაც (ასევე შშმ პირებისთვის, იძულებით გადაადგილებულთათვის, ქალებისთვის და ახალგაზრდებისთვის), პროექტების ასევე განკუთვნილი იყო რეგიონალური ტელევიზიებისთვის.

ყველა ამ მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე პოლიტიკური პარტიების აგიტატორების ან თავად ცესკოს წარმომადგენლების. პოლიტიკური პარტიების აგიტატორების ძირითადად მუშაობენ თავიანთ ამომრჩევლებთან და ხმის მისაცემადაც მათ გამოყვანას უზრუნველყოფენ, ისინი ვერ აინტერესებენ ნეიტრალურ ამომრჩეველს და შესაბამისად ისინი საარჩევნო პროცესისი მიღმა რჩებიან, ეს არის ძირითადად ე.წ გადაუწყვეტელი ამომრჩეველი რომლებიც ვერც პარტიას არჩევენ და არც არჩევნების მნიშვნელობა იციან. რაც შეეხება ცესკოს თანამშრომლების მიერ განხორციელებულ პროექტებს (მაგ. „ვესაუბრებით ამომრჩეველს“) ეფექტურობით ასეთ ამომრჩეველთან ეს პროექტებიც არ გამოირჩევა, რადგან ცესკოს მაინც სახელმწიფო სტრუქტურასთან აიგივებს ამომრჩეველი. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი არის ნეიტრალური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ინფორმაცია არჩევნების მნიშვნელობაზე და თითოეული ამომრჩევლის ხმის მნიშვნელობაზე.

ასევე ეს პროექტები კარგი იყო რეგიონალური ტელევიზიებისთვის, რომლებიც არ არიან განებივრებულნი არც რეკლამებით და არც საარჩევნო სააგიტაციო მასალებით. საარჩევნო ინფორმირება რეგიონალური ტელევიზიებით იყო საკმაოდ ეფექტური იმ ამომრჩევლისთვის რომლებიც არიან ამ ტელევიზიების მაყურებლები და ეს როცხვი საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით არაქართულ ენოვან ამომრჩევლებში.

ცესკოს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საგრანტო პროექტები არა მარტო პოლიტიკური პარტიებისთვის ტელევიზიებისთვის და ამომრჩევლებისთვის იყო კარგი და საინტერესო, არამედ განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის, რადგან ეს მათ აძლევდა განვითარების საშუალებას

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტით არ დგინდება ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

1. დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლების და კვლიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი
2. ნუგზარ მელაძე - „მწვანე დედამიწა“
3. გიორგი ჟორჟოლიანი
4. გია გარსევანიშვილი – „ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“
5. ლადო ბოჟაძე - "სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი"

6. გია მახარაძე - “დემოკრატიული მართვის განვითარების ფონდი”
7. ზვიად წამალაშვილი - “ჯერ საქართველო”
8. გოჩა ჯოჯუა
9. აკაკი ასათიანი
10. გოჩა თევდორაძე
11. ნანა დევდარიანი - “გლობალური კვლევების ცენტრი”
12. მამუკა გიორგაძე
13. თამაზ მეჭიაური
14. გელა (მიხეილ) სალუაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

1. დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლების და კვლიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი
2. ნუგზარ მელაძე - „მწვანე დედამიწა“
3. გიორგი ჟორჟოლიანი
4. გია გარსევანიშვილი – „ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“
5. ლადო ბოჟაძე - “სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი”
6. გია მახარაძე - “დემოკრატიული მართვის განვითარების ფონდი”
7. ზვიად წამალაშვილი - “ჯერ საქართველო”
8. გოჩა ჯოჯუა
9. აკაკი ასათიანი
10. გოჩა თევდორაძე
11. ნანა დევდარიანი - “გლობალური კვლევების ცენტრი”
12. მამუკა გიორგაძე
13. თამაზ მეჭიაური
14. გელა (მიხეილ) სალუაშვილი

კოდი	დასახელება	2021 წლის დამტკიცებული გეგმა	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გამლიერება	1 000 000.0	251 100.0	251 500.0	251 500.0	245 900.0
	ხარჯები	984 300.0	248 100.0	246 500.0	246 500.0	243 200.0
	შრომის ანაზღაურება	575 000.0	144 000.0	144 000.0	144 000.0	143 000.0
	საქონელი და მომსახურება	377 700.0	95 000.0	95 000.0	95 000.0	92 700.0
	სოციალური უზრუნველყოფა	30 000.0	7 500.0	7 500.0	7 500.0	7 500.0
	სხვა ხარჯები	1 600.0	1 600.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15 700.0	3 000.0	5 000.0	5 000.0	2 700.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	6 250 000.0	2 078 000.0	1 178 000.0	1 359 000.0	1 635 000.0
	ხარჯები	6 150 000.0	2 053 000.0	1 153 000.0	1 334 000.0	1 610 000.0
	შრომის ანაზღაურება	2 500 000.0	625 000.0	625 000.0	625 000.0	625 000.0
	საქონელი და მომსახურება	3 535 000.0	1 400 000.0	500 000.0	680 000.0	955 000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	100 000.0	25 000.0	25 000.0	25 000.0	25 000.0
	სხვა ხარჯები	15 000.0	3 000.0	3 000.0	4 000.0	5 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100 000.0	25 000.0	25 000.0	25 000.0	25 000.0
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	700 000.0	176 500.0	174 500.0	174 500.0	174 500.0
	ხარჯები	698 000.0	174 500.0	174 500.0	174 500.0	174 500.0
	შრომის ანაზღაურება	505 000.0	126 250.0	126 250.0	126 250.0	126 250.0
	საქონელი და მომსახურება	188 000.0	47 000.0	47 000.0	47 000.0	47 000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	3 000.0	750.0	750.0	750.0	750.0
	სხვა ხარჯები	2 000.0	500.0	500.0	500.0	500.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2 000.0	2 000.0	0.0	0.0	0.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16 000 000.0	4 120 000.0	4 060 000.0	4 050 000.0	3 770 000.0
	ხარჯები	15 900 000.0	4 070 000.0	4 040 000.0	4 030 000.0	3 760 000.0
	შრომის ანაზღაურება	7 200 000.0	1 800 000.0	1 800 000.0	1 800 000.0	1 800 000.0
	საქონელი და მომსახურება	8 530 000.0	2 200 000.0	2 200 000.0	2 200 000.0	1 930 000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	120 000.0	50 000.0	30 000.0	20 000.0	20 000.0
	სხვა ხარჯები	50 000.0	20 000.0	10 000.0	10 000.0	10 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100 000.0	50 000.0	20 000.0	20 000.0	10 000.0
04 01	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16 000 000.0	4 120 000.0	4 060 000.0	4 050 000.0	3 770 000.0
	ხარჯები	15 900 000.0	4 070 000.0	4 040 000.0	4 030 000.0	3 760 000.0
	შრომის ანაზღაურება	7 200 000.0	1 800 000.0	1 800 000.0	1 800 000.0	1 800 000.0
	საქონელი და მომსახურება	8 530 000.0	2 200 000.0	2 200 000.0	2 200 000.0	1 930 000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	120 000.0	50 000.0	30 000.0	20 000.0	20 000.0
	სხვა ხარჯები	50 000.0	20 000.0	10 000.0	10 000.0	10 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100 000.0	50 000.0	20 000.0	20 000.0	10 000.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	16 811 000.0	4 829 500.0	4 773 500.0	3 566 500.0	3 641 500.0
	ხარჯები	16 760 000.0	4 778 500.0	4 773 500.0	3 566 500.0	3 641 500.0
	შრომის ანაზღაურება	13 623 000.0	3 448 500.0	4 048 500.0	3 048 500.0	3 077 500.0
	საქონელი და მომსახურება	2 205 000.0	1 025 000.0	525 000.0	323 000.0	332 000.0
	გრანტები	5 000.0	5 000.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	540 000.0	200 000.0	100 000.0	100 000.0	140 000.0
	სხვა ხარჯები	387 000.0	100 000.0	100 000.0	95 000.0	92 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	51 000.0	51 000.0	0.0	0.0	0.0
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	16 521 000.0	4 756 000.0	4 700 000.0	3 495 000.0	3 570 000.0
	ხარჯები	16 470 000.0	4 705 000.0	4 700 000.0	3 495 000.0	3 570 000.0
	შრომის ანაზღაურება	13 429 000.0	3 400 000.0	4 000 000.0	3 000 000.0	3 029 000.0
	საქონელი და მომსახურება	2 109 000.0	1 000 000.0	500 000.0	300 000.0	309 000.0
	გრანტები	5 000.0	5 000.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	540 000.0	200 000.0	100 000.0	100 000.0	140 000.0
	სხვა ხარჯები	387 000.0	100 000.0	100 000.0	95 000.0	92 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	51 000.0	51 000.0	0.0	0.0	0.0
05 02	საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა	290 000.0	73 500.0	73 500.0	71 500.0	71 500.0
	ხარჯები	290 000.0	73 500.0	73 500.0	71 500.0	71 500.0
	შრომის ანაზღაურება	194 000.0	48 500.0	48 500.0	48 500.0	48 500.0
	საქონელი და მომსახურება	96 000.0	25 000.0	25 000.0	23 000.0	23 000.0
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	70 255 800.0	8 718 050.0	10 440 006.0	18 716 522.0	32 381 222.0
	ხარჯები	69 241 800.0	8 565 550.0	10 178 506.0	18 116 522.0	32 381 222.0
	შრომის ანაზღაურება	27 527 600.0	2 467 944.0	2 565 468.0	5 143 344.0	17 350 844.0
	საქონელი და მომსახურება	14 029 800.0	2 434 681.0	3 948 113.0	3 846 853.0	3 800 153.0
	გრანტები	6 500.0	6 500.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	653 300.0	68 225.0	66 225.0	125 425.0	393 425.0
	სხვა ხარჯები	27 024 600.0	3 588 200.0	3 598 700.0	9 000 900.0	10 836 800.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 014 000.0	152 500.0	261 500.0	600 000.0	0.0
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	13 844 300.0	3 420 800.0	3 587 706.0	3 746 732.0	3 089 062.0
	ხარჯები	12 830 300.0	3 268 300.0	3 326 206.0	3 146 732.0	3 089 062.0
	შრომის ანაზღაურება	9 291 300.0	2 298 444.0	2 395 968.0	2 298 444.0	2 298 444.0
	საქონელი და მომსახურება	3 229 600.0	893 881.0	848 263.0	778 813.0	708 643.0
	გრანტები	6 500.0	6 500.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	242 900.0	60 725.0	60 725.0	60 725.0	60 725.0
	სხვა ხარჯები	60 000.0	8 750.0	21 250.0	8 750.0	21 250.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 014 000.0	152 500.0	261 500.0	600 000.0	0.0
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1 270 700.0	268 600.0	428 800.0	345 800.0	227 500.0
	ხარჯები	1 270 700.0	268 600.0	428 800.0	345 800.0	227 500.0
	შრომის ანაზღაურება	678 000.0	169 500.0	169 500.0	169 500.0	169 500.0

კოდი	დასახელება	2021 წლის დამტკიცებული გეგმა	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
	საქონელი და მომსახურება	565 700.0	89 350.0	253 550.0	170 550.0	52 250.0
	სოციალური უზრუნველყოფა	24 000.0	7 500.0	5 500.0	5 500.0	5 500.0
	სხვა სარჯები	3 000.0	2 250.0	250.0	250.0	250.0
06 03	**პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება**	**14 308 800.0**	**3 577 200.0**	**3 577 200.0**	**3 577 200.0**	**3 577 200.0**
	ხარჯები	14 308 800.0	3 577 200.0	3 577 200.0	3 577 200.0	3 577 200.0
	სხვა სარჯები	14 308 800.0	3 577 200.0	3 577 200.0	3 577 200.0	3 577 200.0
06 03 01	**პოლიტიკური პარტიების დაფინანსება**	**9 539 200.0**	**2 384 800.0**	**2 384 800.0**	**2 384 800.0**	**2 384 800.0**
	ხარჯები	9 539 200.0	2 384 800.0	2 384 800.0	2 384 800.0	2 384 800.0
	სხვა ხარჯები	9 539 200.0	2 384 800.0	2 384 800.0	2 384 800.0	2 384 800.0
06 03 02	**პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარება**	**4 769 600.0**	**1 192 400.0**	**1 192 400.0**	**1 192 400.0**	**1 192 400.0**
	ხარჯები	4 769 600.0	1 192 400.0	1 192 400.0	1 192 400.0	1 192 400.0
	სხვა ხარჯები	4 769 600.0	1 192 400.0	1 192 400.0	1 192 400.0	1 192 400.0
06 04	**არჩევნების ჩატარების ღონისძიებები**	**40 832 000.0**	**1 451 450.0**	**2 846 300.0**	**11 046 790.0**	**25 487 460.0**
	ხარჯები	40 832 000.0	1 451 450.0	2 846 300.0	11 046 790.0	25 487 460.0
	შრომის ანაზღაურება	17 558 300.0	0.0	0.0	2 675 400.0	14 882 900.0
	საქონელი და მომსახურება	10 234 500.0	1 451 450.0	2 846 300.0	2 897 490.0	3 039 260.0
	სოციალური უზრუნველყოფა	386 400.0	0.0	0.0	59 200.0	327 200.0
	სხვა სარჯები	12 652 800.0	0.0	0.0	5 414 700.0	7 238 100.0
06 04 01	**არჩევნების ჩატარების ღონისძიებები**	**30 470 100.0**	**1 451 450.0**	**2 846 300.0**	**8 221 350.0**	**17 951 000.0**
	ხარჯები	30 470 100.0	1 451 450.0	2 846 300.0	8 221 350.0	17 951 000.0
	შრომის ანაზღაურება	17 351 100.0	0.0	0.0	2 505 900.0	14 845 200.0
	საქონელი და მომსახურება	9 446 600.0	1 451 450.0	2 846 300.0	2 362 250.0	2 786 600.0
	სოციალური უზრუნველყოფა	369 400.0	0.0	0.0	50 200.0	319 200.0
	სხვა სარჯები	3 303 000.0	0.0	0.0	3 303 000.0	0.0
06 04 02	**არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება**	**1 012 100.0**	**0.0**	**0.0**	**713 740.0**	**298 360.0**
	ხარჯები	1 012 100.0	0.0	0.0	713 740.0	298 360.0
	შრომის ანაზღაურება	207 200.0	0.0	0.0	169 500.0	37 700.0
	საქონელი და მომსახურება	787 900.0	0.0	0.0	535 240.0	252 660.0
	სოციალური უზრუნველყოფა	17 000.0	0.0	0.0	9 000.0	8 000.0
06 04 03	**საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯი**	**2 111 700.0**	**0.0**	**0.0**	**2 111 700.0**	**0.0**
	ხარჯები	2 111 700.0	0.0	0.0	2 111 700.0	0.0
	სხვა სარჯები	2 111 700.0	0.0	0.0	2 111 700.0	0.0
06 04 04	**საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა დაფინანსება**	**7 238 100.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**7 238 100.0**
	ხარჯები	7 238 100.0	0.0	0.0	0.0	7 238 100.0
	სხვა ხარჯები	7 238 100.0	0.0	0.0	0.0	7 238 100.0
07 00	**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**	**4 250 000.0**	**1 094 500.0**	**1 061 000.0**	**1 060 000.0**	**1 034 500.0**
	ხარჯები	4 150 000.0	1 044 500.0	1 036 000.0	1 035 000.0	1 034 500.0
	შრომის ანაზღაურება	2 762 000.0	690 500.0	690 500.0	690 500.0	690 500.0
	საქონელი და მომსახურება	1 239 000.0	310 000.0	310 500.0	309 500.0	309 000.0
	გრანტები	4 000.0	4 000.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	5 000.0	5 000.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	140 000.0	35 000.0	35 000.0	35 000.0	35 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100 000.0	50 000.0	25 000.0	25 000.0	0.0
08 00	**საქართველოს უზენაესი სასამართლო**	**12 500 000.0**	**3 162 500.0**	**3 152 500.0**	**3 262 500.0**	**2 922 500.0**
	ხარჯები	12 050 000.0	3 112 500.0	3 112 500.0	2 912 500.0	2 912 500.0
	შრომის ანაზღაურება	8 950 000.0	2 237 500.0	2 237 500.0	2 237 500.0	2 237 500.0
	საქონელი და მომსახურება	2 800 000.0	800 000.0	800 000.0	600 000.0	600 000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	80 000.0	20 000.0	20 000.0	20 000.0	20 000.0
	სხვა ხარჯები	220 000.0	55 000.0	55 000.0	55 000.0	55 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	450 000.0	50 000.0	40 000.0	350 000.0	10 000.0
09 00	**საერთო სასამართლოები**	**86 000 000.0**	**18 467 000.0**	**19 511 000.0**	**23 890 000.0**	**24 132 000.0**
	ხარჯები	69 622 000.0	17 737 000.0	17 296 000.0	17 275 000.0	17 314 000.0
	შრომის ანაზღაურება	51 561 000.0	13 225 000.0	12 786 000.0	12 775 000.0	12 775 000.0
	საქონელი და მომსახურება	15 708 000.0	3 925 000.0	3 925 000.0	3 925 000.0	3 933 000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	850 000.0	224 000.0	212 000.0	202 000.0	212 000.0
	სხვა ხარჯები	1 503 000.0	363 000.0	373 000.0	373 000.0	394 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16 378 000.0	730 000.0	2 215 000.0	6 615 000.0	6 818 000.0
09 01	**საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა**	**84 130 000.0**	**18 012 000.0**	**19 030 000.0**	**23 420 000.0**	**23 668 000.0**
	ხარჯები	67 802 000.0	17 292 000.0	16 830 000.0	16 820 000.0	16 860 000.0
	შრომის ანაზღაურება	50 850 000.0	13 050 000.0	12 600 000.0	12 600 000.0	12 600 000.0
	საქონელი და მომსახურება	15 210 000.0	3 800 000.0	3 800 000.0	3 800 000.0	3 810 000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	830 000.0	219 000.0	207 000.0	197 000.0	207 000.0
	სხვა ხარჯები	912 000.0	223 000.0	223 000.0	223 000.0	243 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16 328 000.0	720 000.0	2 200 000.0	6 600 000.0	6 808 000.0
09 01 01	**საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი**	**2 622 000.0**	**672 000.0**	**650 000.0**	**650 000.0**	**650 000.0**
	ხარჯები	2 602 000.0	652 000.0	650 000.0	650 000.0	650 000.0
	შრომის ანაზღაურება	1 600 000.0	400 000.0	400 000.0	400 000.0	400 000.0
	საქონელი და მომსახურება	960 000.0	240 000.0	240 000.0	240 000.0	240 000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	30 000.0	9 000.0	7 000.0	7 000.0	7 000.0
	სხვა ხარჯები	12 000.0	3 000.0	3 000.0	3 000.0	3 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20 000.0	20 000.0	0.0	0.0	0.0
09 01 02	**საერთო სასამართლოები**	**81 508 000.0**	**17 340 000.0**	**18 380 000.0**	**22 770 000.0**	**23 018 000.0**